საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3641/01
12/04/2022

3641-01-2-202204121631

შპს „სერვისცენტრს“
მის: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. აფენი
ელ. ფოსტა: speckomforti@ail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №5595 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წეროვანში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ფოტომასალით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია გარკვეული ინფრასტრუქტურული ობიექტები, შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ გენ-გეგმაზე დატანილი არ არის საწარმოში არსებული ყველა ობიექტი, მათ შორის ლენტური ტრანსპორტიორი, სალექარი და სხვა;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებული უნდა იყოს განცხადების წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისი დანართის შესაბამისი პუნქტ(ებ)ის მითითებით;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების და საბოლოო პროდუქციის ტრანსპორტირების (მისასვლელი გზები, შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა და გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები) შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „წყალასარგებლობის“ თავში აღნიშნულია, რომ „წყალი უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესში არ გამოიყენება. ღორღის სამსხვრევ დანადგარში გადამუშავების დროს ხდება მისი დანამვა მტვრის ფრაქციის შემცირების მიზნით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების მეთოდი (სველი/მშრალი). ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ქვიშა-ხრეშის გადამუშავება გათვალისწინებულია სველი მეთოდით, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოო დანიშნულებით

გამოყენებული წყლის მოცულობის და ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ ინფორმაცია;

- დაზუსტებას საჭიროებს სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყლის გამოყენების საკითხი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, მტვრის გამოყოფის შესამცირებლად წლის მშრალ პერიოდში დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიის მორწყვა. დაზუსტებას საჭიროებს მორწყვის მიზნით გამოყენებული წყლის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სანიაღვრე წყლების შეკრება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულ სალექარში, თუმცა წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს სალექარის პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, სიღრმე);
- დაზუსტებას საჭიროებს სალექარში წარმოქმნილი შლამის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის სამსხვრევი დანადგარის საათობრივი წარმადობა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფუნქციონირებს საკედლე ბლოკის საწარმო, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნულ საწარმოსთან დაშორების მანძილი;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე როგორც საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, ისე უშუალოდ დანადგარების განთავსების ადგილიდან;
- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალექარში გაწმენდილი წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. ნარეკვავში. დაზუსტებას საჭიროებს წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები და ასევე ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარის ეფექტურობა);
- მოცემული არ არის ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ, ასევე, „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე